საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკოიშვილი გიორგი ანდრიას ძე

კაკოიშვილი გიორგი ანდრიას ძე (დ. 4. XII. 1933, ქ. ხაშური), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1979). სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1999). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989).

1957 დაამთავრა თსსი, რ-ის შემდეგ მუშაობდა ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სანიტ.-მედ. ნაწილის ქირურგად (1958–60), რესპ. ცენტრ. კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის ორდინატორად (1960–72). იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი (1979–2006); 2009-იდან არის თსსუ-ის ზოგადი ქირურგიის კათედრის მოწვეული პედაგოგი, 2012-იდან – რექტორთა საბჭოს წევრი.

კ. იკვლევდა იზოლირებული და იმპლანტირებული გულის აღდგენის საკითხს ნორმოთერმული პერფუზიის პირობებში, ჩირქოვანი დაავადებების დიაგნოსტიკისა და ოპერაციული მკურნალობის ზოგად პრინციპებს. ავტორია სამედ. ინ-ტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოსი – „ქირურგიული გასტროენტეროლოგია". საქართვ. სახელმწ. პრემია მიენიჭა შრომათა ციკლისათვის „გულის კუნთის მწვავე იშემია და გულის მუშაობის აღდგენა".

კ. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში; საზ-ბა „მედიკის" ჩემპიონატების მონაწილე და პრიზიორი.

თხზ.: ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1982; ჩირქოვანი ქირურგიის აქტუალური საკითხები, თბ., 1985.